# სამშობლო

წ. I 1915 წ. — კვირა 15 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ყოველ თვიურად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 36 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 36


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ციცაძე.


უზომოდ დამწუხრებულნი უბედური დედა ნატალია ერისთვის ასული ხელაიასი, დები: ეკატერინე, მარიამი და ზინა, დისწული ნინა მელქაძის ასული, ძმები გერასიმე და იოსებ ხელაიები, სიძეები: პავლე მელქაძე, ერმილე ქორიძე და ნიკიფორე რუხაძე, მამიდაშვილი: სპირიდონ მიქაბერიძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ, და ტრაგიკულად დაღუპვას საყვარელის

## მინადორასას.

გამოსვენება დანიშნულია კვირას 15 ამ თვეს, ერმილე ქორიძის სახლიდან (პოდგორნის ქუჩა) შუადღის 3 საათზე გოჭოურის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

1-1—98

მეუღლე გრიგოლ ევგენის ძე, მშობლები მისი ევგენი და ნინო დავითის ასული და ძმა ივანე გამრეკლიძეები გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას, პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი საყვარელი რძლის

## ლიდა თამაზის ასულის გამრეკლიძისას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვაც მოხდება სამშაბათს, 17 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე ფერმის ქუჩაზე საკუთარი სახლიდან ჭომის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ექვს საათზე.

1—1—113


ქალაქის თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ორშაბათს, 23 მარტს, წარმოდგ. იქნება

ჰამლეტი

ტრაგედია შექსპირისა. ჰამლეტის როლს შეასრ. ვ. ზარდალიშვილი.

ოთხშაბათს, 25 მარტს პირველად ახალი პიესა ჰაუპტმანისა

დაძირული ზარი

ხუთშაბათს, 26 მარტს, ყაჩაღები ტრაგედია შილლერისა.

ბილეთები ყველა გამოცხადებულ წარმოდგ. დღეიდან იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში, რომელიც ღიაა დილის 11 საათ. 3-ს ნახევრამდის და საღამოს 5—8 საათ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. — ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ — თ.


ამით, ვაცხადებ, რომ ჩემი თხზულების მეორე ტომის გამოცემა სხვა და სხვა მიზეზის გამო შეჩერებულია. იმედი მაქვს ახლო მომავალში გამოცემას შევუდგები. აპოლონ ცინცაძისაგან გაცემული კვიტანციების პატრონები ჩემგან მიიღებენ წიგნს.

ია ეკალაძე.


კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სტუდენტი ვარლამ ფერამე (9 წლის პრაქტიკით) ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა. მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი. 14—2


# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 12 მარტი. ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში ვიგერიებთ რა მტრის იერიშებს, დუკლინისა და სტრისის გზით შეტევას განვაგრძობთ. ბარტფელდის გზით, 10 მარტს, ქვეითა პატარა მინდორი დივჭირეთ, დუბოვოსთან და კურამკოვთან წარმატებით ვიბრძოდით. მიუხედავათ მტრის შეუპოვარი იერიშისა, ბევრი ადგილი დავიჭირეთ. ერთი დღის განმავლობაში 27 აფიცერი და 1.560 ჯარისკაცი დავატყვევეთ და 8 ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. 11 მარტს, ღამით, დუბოვოს თხრილები ავიღეთ, 7 აფიცერი და 300 ჯარისკაცი კიდევ დავატყვევეთ. მეზოლაბორჩის გზით, 10 მარტს, მთელი ღამე ავსტრიელებს თავგამოდებული კონტრიერიშები მოჰქონდათ. მავთულების ღობეები გადავლახეთ და მტრის გამაგრებული სიმაღლე დავიკავეთ. აღმოსავლეთის გზით მტერს შევუტიეთ ბესკიდის ქედისა და ტყიანი ფერდობების ასაღებათ, რომელიც მავთულებითაა შემოფარგლული. შეტევას ყველა გზაზე წარმატებით ვაწარმოებდით. 11—12 მარტს, ღამით, ბარტფელდისა და ბოლიგროდის გზით გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ავსტრიელები შეეცადნენ ჯგუფური კონტრ-იერიშით შეგვეჩერებინეთ, მაგრამ ამაოთ, ვერაფერს ხდებოდენ. რამდენიმე ადგილას, მტერზე 600—800 ნაბიჯით დაშორებულებს, ზარბაზნების მიტანა გვჭირდებოდა. ხელჩართული ბრძოლა იყო, რომლის დროსაც ორმოიანი და მავთულიანი ადგილების გავლა გვიხდებოდა. ლუპკოვის სამხრეთით მთის მთავარი ქედის სიმაგრე დავიჭირეთ, 38 აფიცერი და 9.000 ჯარისკაცი დავატყვევეთ, ბევრი ტყვიისმტყორცნელი და საველე ზარბაზანი ვიხელთეთ.

**პეტროგრადი.** 13 მარტი. ავსტრიელები უკან იხევენ, შჩუკოსა და ვირავის სამხრეთით სიმაღლეებს სტოვებენ. 10 მარტს, ღამით ბოლიგროდის გზით, ტერკის სიმაღლიდან მტერზე იერიში მივიტანეთ და მდ. ვეტლინის მარცხენა ნაპირისკენ დავწიეთ, 37 აფიცერი და 1400 ჯარის კაცი დავატყვევეთ და 9 ტყვიის მტყორცნნლი ვიხელთეთ. ლუტოვის რაიონში მტრის წინააღმდეგობა მეტათ შეუპოვარი იყო. ავსტრიელების დახოცილ ჯარის კაცების გვამებით ბრძოლის ველი მთლათ მოიფინა. ძვინიაჩ-ტარნოვის ფრონტზე მთელი თავისი ძლევამოსილებით შემოგვიტიეს, რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერებულ იქნენ. ავსტრიელების მთელი როტა ოთხი ტყვიის-მტყორცნელით დავატყვევეთ. კრივესა და ზატვორნიცის ფრონტის ჩრდილოეთით მტრის ყველა იერიში ამაო იყო. ფეხდაფეხ მივდევდით, რომლის დროსაც 12 აფიცერი 900 ჯარის კაცი დავატყვევეთ, 10 ტყვიის-მტყორცნელი ვიხელთეთ. ხმელისა და სმოლნიკის ფრონტზე ავსტრიელების ოთხი იერიში მოვიგერიეთ და 500 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. სტრისის გზით გერმანელების იერიში არ სცხრებოდა. 10 მარტს, გერმანელებმა ვიშკოვთან ორჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ მოვიგერიეთ. მარმაროშის გზით, 10 მარტს, ხიშტიანი იერიშით ჩვენ სოფელი კ...გი (?) დავიჭირეთ.

**პეტროგრადი.** 13 მარტი. ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან. 12 მარტს, შუა ნემანიდან დასავლეთით ჩვენ შეტევას მტერი კონტრ-იერიშებით შეხვდა. ნარევის მარცხენა ნაპირზე ბრძოლა გრძელდება. ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. ბარტფელდისა და უჟოკის გზებს შორის ფრონტზე, მიუხედავათ იმისა, რომ მტერს მაშველი ჯარი მიემატა, ჩვენ მაინც წინ მივიწევდით. 11 მარტს, 1700 კაცი დავატყვევეთ და ორი ზარბაზანი ვიხელთეთ. მუნგაჩ-სტრიისა და ხუსტოდოლინის გზით გერმანელებმა ჩვენს პოზიციებზე უნაყოფოთ მოიტანეს იერიში.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 12 მარტი. ოფიციალური. გუშინდელმა დღემ წყნარათ ჩაიარა. მთელ ფრონტზე არავითარი ცვლილება არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნოტრდამდელორეტზე გერმანელებისაგან მოტანილ იერიშს, რომელიც მარცხით დასრულდა.

**პარიზი.** 13 მარტი. ოფიციალური. შამპანში დღის 3 საათზე დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო. 196 მეტ. სიმაღლის რაიონში მტრის სამი იერიში მოვიგერიეთ. არგონის სიმაღლეზე გერმანელების იერიშმა ფონტენმადალთან ამაოთ ჩაიარა. ეპარჟთან მტრის სამი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** 12 მარტი. საადმირალო იტყობინება, არის უტყუარი საბუთი ვიფიქროთ, რომ გერმანიის წყალქვეშა მავალი ნავი 29-თან მთელი ეკიპაჟით არის ჩაძირულიო.

## ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 13 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 11 მარტს. ჭოროხის იქითა მხარეს და ოლთისის გზით უმნიშვნელო ბრძოლა იყო. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**თეირანი.** 12 მარტი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანიის მისიას ქერმანშახში, ისფაჰანში, შირაზში და სამხრეთ სპარსეთის სხვა ადგილებში აგენტებთან, სპარსეთის გუბერნატორებთან და სასულიერო პირებთან დიდი მოლაპარაკებაა აქვს და ურჩევს, რომ სპარსეთმა რუსეთსა და ინგლისს ომი გამოუცხადა.

**სტოკჰოლმი.** 13 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ იქ ახლათ მოუწვევიათ ლანდშტურმი. ბიურჟონის სააგენტო იტყობინება: ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა შემელში მომხდარ ამბის შემდეგ რუსეთის პოლონეთში ქალაქებს კონტრიბუ..ია დაადო, სხვათა შორის, ქალ. ლოძს ნახევარი მილიონი დაადოვო.

**პეკინი.** 13 მარტი. ედინკტის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ჩინეთსა და იაპონიის შორის მოლაპარაკება მშვიდობიანათ დამთავრდება. მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ იაპონელების წინააღმდეგ მტრული გამოსვლა. წამქეზებლები სასტიკათ დაისჯებიან.

**პეტროგრადი.** 12 მარტი. სუვალკის გუბერნიაში გერმანიის მე 21 ე კორპუსის დატყვევებულ ჯარისკაცებს დაღლილობა და სასოწარკვეთილება ეტყობათ. მათი ჩვენებით პოლკებში თითქმის ძველი ჯარისკაცები აღარ არიან, გარდა ახლათ მოკრეფილ ახალგაზდა ჯარისკაცებისა, რომელთაც თოფის ხმარება სრულებით არ იციან. მათთან ერთად ბრძოლა საშიშია. ერთმა ახალგაზდა ჯარისკაცმა პოლკის მე 174 ემ უცაბედათ მოკლა თავისი აფიცერი კოლნოსა და მიშინცეს შორის მდებარე ადგილი ერთს მთლიან ტბას წარმოადგენს. აქ ყველა მდინარეს ჯერ კიდევ

# დღეს რა მოხდა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია.

10 მარტს, დუბოვოსთან და კრაშკოვთან რუსებმა დაატყვევეს 27 აფიცერი 1560 ჯარისკაცი და რვა ტყვიისმტყორცნელი იხელთეს.

11 მარტს, რუსებმა აიღეს დუბოვოს თხრილები. დაატყვევეს 7 აფიცერი და 300 ჯარისკაცი.

11—12 მარტს ლუბაკოვის სამხრეთით რუსებმა დაიჭირეს მთავარი ქედის სიმაგრე დაიჭირეს და დაატყვევეს 38 აფიცერი, 9000 ჯარისკაცი და მრავალი იარაღი იხელთეს.

10 მარტს, ბალიგრადის გზით იერიშები რუსების გამარჯვებით დამთავრდა. დაატყვევეს 37 აფიცერი, 1400 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 8 ტყვიისმტყორცნელი.

ძვინიაჩ-ტახნოვის ფრონტზე ავსტრიელებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ რუსებმა მთელი როტა დაატყვევეს და 4 ტყვიისმტყორცნელი ჩაიგდეს ხელში.

კრივესა და ზატვორნიცის ფრონტის ჩრდილოეთით რუსებმა დაატყვევეს 12 აფიცერი და 900 ჯარისკაცი. ხელთ იგდეს 10 ტყვიისმტყორცნელი.

10 მარტს რუსებმა მოიგერიეს გერმანელები და ვიშკოვთან ერთი სოფელი დაიჭირეს.

11 მარტს ბარტველდისა და უჟოკის ფრონტებზე რუსებმა დაატყვევეს 1700 კაცი და ხელში ჩაიგდეს ორი ზარბაზანი.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ჭოროხის იქითა მხარეს უმნიშვნელო ბრძოლა იყო. მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ნოტარდამდელორეტზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ დამარცხდნენ.

შამპანში 13 მარტს დღის სამ საათზე დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო. ფრანგებმა ყველა იერიში მოიგერიეს.

ფლანდრიაში დაბრუნდა გერმანელების ორი კორპუსი, რომელიც პოლონეთში მოქმედებდა. ინგლისის ფლოტი დიდ მოქმედებას იჩენს. იგი ნაღმებს ესვრის ბელგიის ნაპირებზე აგებულ გერმანელთა სიმაგრეებს.

——

რომიდან იუწყებიან: იტალიამ უკვე შესწყვიტა ყოველნაირი მოლაპარაკება ავსტრო-გერმანიასთან და როგორც სჩანს, აქტიურათ გამოსვლას ფიქრობს.

ყინული აქვს გადაკრული, თუმცა კაცს ვერ იმაგრებს, გერმანიის დირიჟაბლმა ლიაჟაში 14 ყუმბარა ჩამოაგდო. ჯარისთვის ვნება არ მიუყენებია, მშვიდობიან მცხოვრებელთაგანი 9 არის დაჭრილი და ერთი ცხენია მოკლული. 9 მარტს, გათენებისას ვახთან გერმანელებმა ხელახლათ მოიტანეს იერიში, მაგრამ მოგერებულ იქნა მტრის დიდი ზარალით. ჩვენმა მფრინავებმა უკანასკნელ დღეებში დიდმნიშვნელოვანი რაიონები დაზვერეს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

სოფიის ბერძენთა წრეებში ირწმუნებიან, რომ ვენიზელოსის გადადგომა ვილჰელმის მოთხოვნილების მეოხებით მოხდა. აღნიშნავენ, რომ ორი დღის წინათ საბერძნეთის მეფემ ვილჰელმის საკუთარი წერილი მიიღოვო.

——

გაზეთების ცნობით, პერემიშლეს აღებამდე ციხიდან გაფრინდა 10 ჰაეროპლანი, ამ ჰაეროპლანებით ვენას გაემგზავრა 30 გენერალი, რომელთაც ფრანც იოსებისთვის უნდა გადაეცათ კომენდანტის მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ციხეში ორი თვეა შიმშილობაა და ციხის გარნიზონი საშიშ მდგომარეობაშია, თანაც ჯარში მღელვარებაა და ციხის დათმობა აუცილებელიაო.

——

პერემიშლეს აღებამ ვენაში ძლიერ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, გაზეთები სამგლოვიარო არშიებით გამოვიდა.

——

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ კრაკოვში თავს იყრის გერმანელების ძლიერი ჯარი.

კრაკოვს ამაგრებენ: აგებენ ახალ სიმაგრეთ და ციხეში შეაქვთ სამხედრო სურსათი.

კარპატებში ბრძოლა ამ ბოლო დროს ძლიერ მწვავდება. მტრის ყველა იერიშები რუსის ჯარისაგან შემუსვრილია.

——

ბულგარეთში 15 მარტს საზოგადო მობილიზაციის გამოცხადებას მოელიან.

——

სამხედრო ავტორიტეტების სიტყვით მდ. ნარევის მარჯვენა ნაპირზე მომხდარი საშინელი ბრძოლა გამოწვეულია კარპატებში და გალიციაში მტრის სასტიკი დამარცხებით.

გერმანელებს უნდათ როგორმე შეასუსტონ პერემიშლეს აღებით გამოწვეული შთაბეჭდილება.

——

საბერძნეთის გაზეთი „ნეა იმპერა" სწერს; საბერძნეთი სრულიად დამოკიდებელია ბულგარეთის მოქმედებაზეო. სანამდის ბულგარეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს ჩვენც ხმას არ ამოვიღებთო.

——

იმპერატორ ვილჰელმს აზრათა აქვს ლილის მახლობლად სამხედრო თათბირი გამართოს. მოწვეულია რამოდენიმე მონარქი.

# ქუთათურ ქალთა წრის შესახებ

——

დიდიხანია გულს მიღრღნიდა ქუთათურ ქალთა წრის შესახებ გამოურკვეველი მდგომარეობა, ერთ დროს მეც მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი ამ წრეში, სადაც არა ერთხელ მაცვეს ჯვარს სიმართლის გამოთქმის გულისათვის. იყო შესაწყნარებელი მიზეზი, რომლის გამოც იძულებული შევიქენი დროებით თავი დამენებებია ამ წრისათვის. ხოლო დღეს გაზ. „სამშობლოს" № 32-ში მოთავსებულმა წერილმა ამ წრის შესახებ მიზეზი მომცა ჩემი აზრი გამოვსთქვა იმაზე, თუ რამ გამოიწვია ქუთათურ ქალებში ის გულცივობა წრისადმი რომელიც ამ ბოლო დროს უფრო და უფრო თვალსაჩინოდ აშკარავდება.

თუ ყოველი ჩვენგანი არა, უმეტესობა მაინც, შეგნებულად გრძნობს ამ სიმპატიური დაწესებულების სიდიადეს და სარგებლობას. ამიტომ მის დაარსების პირველ ხანიდანვე დიდის აღტაცებითა და სიხარულით შევხვდით მას. უეცრივ ვიგრძენით, რომ ჩვენს შეგუბებულ ცხოვრების მდორე მორევში მკვირცხლი ნაკადული შეიჭრა, ნაკადული გამახალისებელი, თვითმოქმედების სულის ჩამდგმელი, ჩვენი პიროვნების გამომრკვევი და მამაკაცთა შრომა-მოქმედების ფერხულში შიგ შემქსოვ-შემაკავშირებელი, გვეგონა, რომ ის ერთგვარობა ჩვენის ცხოვრებისა, ის უსახურობა და უფერულობა საზოგადოებრივ მოქმედ ცხოვრებაში, რომელიც ტლანქად გადმოგვაფინა ქართველ ქალებს ულმობელმა ისტორიამ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვის შემდეგ—გაქრა და ახალი სალი, ჯანმრთელი ცხოვრება მოგვევლინა. მაგრამ მოვტყუვდით, იმედი გაგვიცრუვდა, აფრთოვანება სასოწარკვეთილებათ შეგვეცვალა.

ჯერ ამ დაწესებულებას ფეხი არ აედგა საძირკველი და საფუძველი ვერ ჩაედგა მომავალ მკვიდრ ცხოვრებისათვის და უეცრივ შიგ ამოხეთქა ქართველურმა, ჩვენებურმა—იმერულმა „შენ-ჩემიანობამ". ამ „შენჩემიანობამ" მღრღნელი მღილი შეიტანა წრის გულში, რომელიც ისე კბილმაგრად მისდგომია მის ძირს, რომ ლამის წააქციოს იგი.

წრის დაარსებისათანავე თითოეულმა მისმა წევრმა მოინდომა იქ ფეხმაგრად მოკალათება, სხვაზე გაბატონება, იწყო ცხვირის მაღლა წევა, მედიდურად ცქერა დანარჩენებზე; შეადგინეს მათ ჯგუფი, მისცეს ერთმანეთს მხარი და კიდეც მიაღწიეს თავის საწადელს, ერთმანეთი ამოირჩიეს მმართველებათ, ხელთ იგდეს რაღაცგვარი „ავტორიტეტი" და სწორეთ ეს „ავტორიტეტი" დამშინებელი შეიქნა სხვებისათვის, რის გამოც ეს უკანასკნელნი გახდენ მხდალ, უენო და უინიციატივო არსებათ, ნამდვილ უსულო ტყაპუჩჩებათ გაბატონებულთა და მედიდურთა წინაშე. თუ ვინმემ რამე სთქვა დასცინეს,—აბუჩად აიგდეს; ამიტომ ამით დამფრთხალებმა თავები წაჰკიდეს და ნამდვილ ტიკინებს დაემსგავსენ თანატოლთა და თანასწორთა წირაში.

აი სწორეთ ეს არის ერთი უდიდეს მიზეზთაგანი ქუთათურ ქალთა გულგრილობისა ხსენებულ წრისადმი. რასაკვირველია, ამგვარად დამფრთხალი წევრები წრისა ვერ შესძლებენ ვერც გულწრფელ თანაგრძნობას, ვერც გაბედავენ ოპოზიციის გაწევას მმართველთა წინააღმდეგ, ვერ მოახერხებენ ანგარიშის მოთხოვნას საქმის მდგომარეობის გამორკვევას და მუდამ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფნი გულგრილად შეჰყურებენ საქმეს. ისინი ამბობენ: ჩვენ რა გვინდა იქ! ვინ რას გვკითხავს, სულ ერთია, ისინი მაინც ისე მოაწყობენ საქმეს, როგორც თვითონ სურთო!

ამიტომ უმჯობესათ სთვლიან ისევ სახლში იჯდენ და ოჯახს ყური უგდონ.

(დასასრული იქნება).

**ლიუბა თვალჭრელიძისა.**

# ახალი ამბავი.

გუშინ, 14 თებერვალს, დილის მატარებლით თფილისს გაემგზავრა ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

ინჟინერ ქურდიანთან და ამხ. მუნიციპალური საქმეების გამო მოსალაპარაკებლათ.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, თანახმათ სანიტარული კომისიის დადგენილებისა, ბ. გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ხაზინამ ქალაქს დახმარების სახით მისცეს 58,068 მანეთი. ეს ფული საჭიროა ისეთ საავათმყოფოს ასაგებათ, სადაც მოთავსდებიან გადამდებ სენით შეპყრობილი ავათმყოფნი.

✦ პარასკევს, 13 მარტს, ქართულ თეატრში გაიმართა წარმოდგენა ჩვენი სცენის ძველი მოღვაწის [illegible] ჩარკვიანის სასარგებლოთ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნა [illegible] ყაზბეგის ცნობილი პიესა „ყაჩაღი არსენა" და ვოდევილი „მონადირე" წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო. წარმოდგენის გათავების შემდეგ საზოგადოებამ ტაშის-ცემით გამოიწვია თვით გრ. ჩარკვიანი, უკანასკნელმა საზოგადოებას დიდი მადლობა გადაუხადა, რომ მისი 18 წლის სცენისადმი მოღვაწეობა ასე დააფასეს.

✦ 13 მარტს, საღამოს 8 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე, ფილიპე ცქიტიშვილის სახლში მოვიდა ვიღაც უცნობი, რომელმაც სახლის დაქირავების სურვილი განაცხადა, როცა ცქიტიშვილმა უცნობი ოთახის საჩვენებლათ შეიყვანა, მან (უცნობმა) ჯიბიდან დანა ამოიღო და ცქიტიშვილს ცხრა ჭრილობა მისცა. დაჭრილი მაშინვე გარდაიცვალა.

გუშინ, 14 თებერვალს, ამის გამო დააპატიმრეს ს. ჭალადიდის (სენაკის მაზრა) მცხოვრები ბიკტორ გაბელია.

✦ რედაქციამ მიიღო „კოოპერატიზმი" გიგა ჯუღელისა. გადმოკეთებული გარდენინის წერილებიდან. წიგნი მშვენივრათ არის გამოცემული გაზ. „კოოპერაციის" რედაქციის მიერ. შეიცავს 16 გვერდს და ღირს 2 შაურათ.

✦ ქუთაისი ყველა საშუალო სასწავლებლების მოწაფეები გუშინ, 14 მარტს დაითხოვეს.

✦ ქუთ. ქართულ გიმნაზიაში წელს ეგზამენები მარტო მეექვსესა და მერვე კლასებში იქნება. დანარჩენი კლასის მოწაფეები შემდეგ კლასებში ნიშნების მიხედვით გადაიყვანეს.

✦ გუშინ 14 მარტს, მეფურნეებმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანეს, რომ მათ ნება დართონ გაყიდონ პირველი ხარისხის პური 18 კაპ., მეორე 17 კაპ. და მესამე 15 კ.

✦ ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ამ მოკლე ხანში წარმოსადგენათ აპზადებს შექსპირის ცნობილ პიესას „ჰამლეტს".

✦ 12 მარტს, ღამით პოდგორნი ქუჩაზე კარბოლის სიმჟავე დალია მინადორა ხელაიას ქალმა, რომელიც გარდაიცვალა.

13 თებერვალს, კათოლიკების ქუჩაზე, კლაჩკოვსკის ოჯახიდან ვიღაც ბოროტგამზრახველებმა მოიპარეს 41 მან. 35 კ. სხვა და სხვა ნივთები.

✦ გამოვიდა ჟურნალი „კოოპერაციის" № 29, შემდეგი შინაარსით: 1) მეთაური; სადღეისო ლოზუნგი; 2) გაძვირებულ ცხოვრებასთან ბრძოლა; 3) კოოპერატიული ფურნის მნიშვნელობა: 4)

# აზრის თავისუფლება და დემოკრატია.

(იხილე „სამშობლო" № 34).

პოლიტიკური ფანატიზმი ისევე განმანადგურებელია, როგორც სარწმუნოებრივი.

საფრანგეთში კაი ხანი მზადდებოდა ნიადაგი იმ სახელმწიფოებრივი პრინციპისათვის, რომელსაც აღიარებდა ლუი მეთოთხმეტე (ფაქტიურად მისი მეფობა დაიწყო 1661 წლიდან; გარდაიცვალა 1715 წ.). „სახელმწიფო მე ვარო", ამბობდა. და მისმა ხანგრძლივმა აბსოლიუტისტურმა მართვა-გამგეობამ საფრანგეთი დაასუსტა და დაამცირა.

მაგრამ ფრანგთა ეროვნული სული შეუდრეკელი იყო. და პროტესტი ძველებური, თეოკრატიულ-აბსოლიუტისტური მართვა-გამგეობის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. უკვე რაბლემ (1453—1553 წ.) საშინლად დასცინა მაშინდელ სასულიერო წოდებას, წინდაწინა სთქვა, რეფორმაციის წინ საფრანგეთში სხვაგვარი მოძრაობა იქნებაო, და შეუბრალებლად დაგმო მონური ქედმოხრილობა და სქოლასტიკური სიცალიერე მეცნიერთა, რომაული იურიდიული ფორმულებით დაფარული უუფლებობა და სხ. (იხ. მისი რომანები: „გარგანტუა" და „პანტაგრიუელი").

მონტენი (1533—1592), რომელიც საშინლად კიცხავდა ადამიანისა და საზოგადოების ნაკლულოვანებათ, იყო ერთსა და იმავე დროს პესსიმისტი და სკეპტიკი.

დეკარტმა (1596—1650) ეჭვის თვალით შეხედა მთელ მაშინდელ ცოდნასა და მსოფლმხედველობას.

პასკალი (1623—1662 წ.) ებრძოდა ფანატიზმსა და იეზუიტიზმს.

უდიდესი დრამატურგი რასინი (1639—1699 წ.) წინასწარმეტყველებს მაშინდელი საზოგადოების დამხობასა და რევოლიუციის გრიგალს. და კარგი პანეგირისტი მოლიერი (1622—1673) დასცინის საფრანგეთის კარისკაცთა და დიდებულთა სარწმუნოებრივ თვალთმაქცობასა და სხვა ნაკლულოვანებათ.

მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურამ ძველ სარწმუნოებრივ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას საბოლოოდ მოუღო ბოლო და ძირიანფესვიანად შეარყია ის პოლიტიკური პრანციპი, რომლის განსახიერებასაც ლუი მეთოთხმეტე წარმოადგენდა.

აქ არ შევეხები სამაგალითო პროგრესს ბუნებისმეტყველებაში, რომელიც დაედო ფუძედ თანამედროვე მსოფლმხედველობას, და აღვნიშნავ მხოლოდ უდიდეს ნაწარმოებთ, რომელთაც პირდაპირი სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა ჰქონდათ.

1721 წელს მონტესკიემ (1689—1755 წ.) გამოაქვეყნა თავისი „სპარსული წერილები", რომელნიც ადვილ წასაკითხავ მოთხრობას წარმოადგენენ. მეთვრამეტე საუკუნის ამ უდიდეს ოპოზიციონურ ნაწარმოებში შესანიშნავი გონებამახვილობით არის დაგმობილი საეკლესიო, პოლიტიკური და სოციალური დაწესებულებანი ევროპისა და განსაკუთრებით საფრანგეთისა. 13 წელს შემდეგ მან გამოსცა თავისი თხზულება „ფიქრები რომაელთა ამაღლებისა და დაცემის შესახებ" და 1749 წელს დაბეჭდა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები: „სული კანონთა", რომელიც დიდხანს წარმადგენ და ლიბერალების პოლიტიკურ „მრწამსს". ამ თხზულებაში ის აღიარებს კონსტიტუციონური მონარქიის უპირატესობას.

კლოდ ადრიან ჰელვეციმ (1715—1771) გამოაქვეყნა 1758 წ. თავისი თხზულება „სულის შესახებ", რომელშიაც ამტკიცებდა მონტესკიეს პოლიტიკური სისტემის შეუძლებლობას და აშენებდა ზნეობრივ შედეგებს ეგოიზმზე, ე. ი. პირად სარგებლობაზე.

ახალი ფილოსოფიის წინამძღოლი იყო დენი დიდრო (1712—1784), რომელმაც სცადა თავისი ღონე მოთხრობებზე და დრამატიული შემოქმედების ასპარეზზე. მაგრამ უმთავრეს მის ღვაწლს შეადგენენ მისი ნაწარმოები: 1) „ფილოსოფიური აზრები" (1746 წ.) და აუარებელი პამფლეტი, რომლებშიაც თამამად, ბრწყინვალედ და მდაბიო ენით არის განმარტებული ახალი აზრები, და 2) გამოცემა შესანიშნავი ფრანგული ენციკლოპედიისა, ე. ი. მეცნიერებათა სისტემატიური ლექსიკონისა (1751—1766). დიდრო სავსებით ემყარებოდა ბუნების მეტყველთა ბიუფფონის, კონდილიკისა და სხ. მეცნიერულ მოძღვრებასა. და ენციკლოპედია, რასაკვირველია, მატერიალისტურ საფუძველზე იყო დამყარებული. ამ უკანასკნელ დიდ შრომაში მეთვრამეტე საუკუნის ყველა საუკეთესო მწერალმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დიდროს მარჯვენა ხელი იყო შესანიშნავი მათემატიკოსი დალამბერი, რომელმაც დასწერა ენციკლოპედიისა წინასიტყვაობა. აი რას ამბობს იქ ეს წინამორბედი თანამედროვე პოზიტიური, დადებითი ფილოსოფიისა: „ყოველი ცოდნის წყარო არის ცდა; და საზოგადო წესიერების წყარო ის არის, რომ თითოეულ კაცს სჭირდება სხვისი დახმარება თავის სასარგებლოდ". ამ სიტყვებით, რასაკვირველია, სავსებით უარყოფილია წყარო ყოველგვარი ცრუმორწმუნოებისა და ფანატიზმისა.

დიდი იყო გავლენა ენციკლოპედიისა. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მიმართულებას ორი დიდი მწერალი გამოხატავდა სავსებით. პირველი მათგანი ვოლტერი (1694—1778 წ.) საოცარი მკვეთრი და მახვილი ირონიით გმობდა ძველ პოლიტიკურ წესწყობილებასა და სარწმუნოებრივ დოგმებსა. მეორემ, ჟან-ჟაკ რუსსომ (1712—1778 წ.) შეუდარებელი მჭევრმეტყველებითა და ხელოვნებით დაასურათა და გაკიცხა ევროპის განათლების ცუდი მხარეები და მიაწოდა საზოგადოებას უბრალო, მარტივი, ბუნებრივი, სალი ცხოვრების იდეალი. იმავე დროს მან ძველ პოლიტიკურ წესწყობილებას დაუპირდაპირა ახალი, დემოკრატიული, ხალხის უფლებაზე დამყარებული.

და ეს გონებრივი მოძრაობა მეთვრამეტე საუკუნისა დასრულდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციით, რომელმაც ხსენებული მწერლების აზრები და იდეანი ხალხში გაფანტა და გაავრცელა.

ამგვარად, საფრანგეთის რევოლიუციამ წინამორბედი თეორეტიკოსებისა და მოაზრეების იდეათ ხორცი შეასხა, მათი ფიქრები სინამდვილედ გარდაქმნა.

მაგრამ რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ძველი პოლიტიკური ფანატიზმის ნაცვლად ახალი წარმოშვა და პარტიათა ბრძოლამ რევოლიუციის შედეგები გააქარწყლა და ნაპოლეონის გაბატონებას ნიადაგი მოუმზადა.

ბევრი დიდებული მწერალი და მოღვაწე შეიწირა მაშინ პარტიულმა ფანატიზმმა, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი დანაკლისი კაცობრიობისათვის იყო ლავუაზიე, ახალი ქიმიის მამათ მთავარი, ნივთიერების გაუქრობელობის აღმომჩენელი და, მაშასადამე, სქოლასტიკური ცრუმორწმუნეობის საბოლოოდ გამაქარწყლებელი.

აქ არ შევეხები არც რევოლიუციის დროს პარტიათა მიერ ერთმანეთის დამხობას, არც ნაპოლეონის ხანას, არც რესტავრაციის რეაქციას, არც მეთვრამეტე საუკუნის სხვადასხვა ეროვნულ მწერლობას, რადგან ისტორიულ თხზულებას კი არა ვსწერ, არამედ მსურს ზოგიერთი თვალსაჩინო ისტორიული ფაქტით ნათელვყო ამ წერილის დედა-აზრი.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოცდამეათე წლებიდან დაწყებული დემოკრატიულმა მიმართულებამ სოციალისტური ელფერი მიიღო, ეს ცალმხრივობა თანდათან გაძლიერდა და პირდაპირ ავადმყოფური, პათოლოგიური და გადაგვარებული შეიქნა რუსეთის ნიადაგზე.

ქართველები ხომ, დიდი ხანია, სხვისი ფეხის ხმას რომ ავყოლივართ, რადგან საკუთარი გზა და კვალი აღარ მოგვეპოება და უკუღმართმა აღზრდამ ხელი შეუწყო დამახინჯებული მიმართულების უცხოეთიდან ჩვენში გადმონერგვას. სცადეთ და ჰკითხეთ ჩვენებურ „სანფარს", „სანდონს", „სარრეს" დემოკრატიის შესახებ და უთუოდ ერთსა და იმავე პასუხს მოისმენთ: „დემოკრატი იგივე სოციალისტი არისო".

რა დიდი არევ-დარევა და გაუგებრობა სჩანს ამ სიტყვებში! განა დემოკრატია ყოველთვის სოციალისტური ყოფილა?

დემოკრატიას, პირიქით, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობაში სხვადასხვაგვარი მიმართულება ჰქონია. ყოფილა დემოკრატია ცეზარისტული და ახლაც ბევრგან არის ასეთი. ყოფილა და ახლაც არის დემოკრატია კლერიკალური, ბურჟუაზიული, იაკობინური, სოციალისტური და სხ. სოციალისტური დემოკრატია მხოლოდ ერთ-ერთი სახეა დემოკრატიისა.

აქიდან სჩანს, რომ დემოკრატია ყოველთვის სწორი გზით კი არ მიდიოდა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ აღარც კი

ნიკო, კირილეს ძე რაზმაძე აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს მისი ძვირფასი მეუღლის

**ნადეჟდა დიმიტრი მაჭუტაძის ასულის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია ქ. თფილისში, სამშაბათს, 17 მარტს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება გუნიბის ქუჩიდან, სახ. № 18.

ხმა საჭილაოდან; 5) ფოთის კოოპერაცია; 6) ოზურგეთის საკრ. ამხანაგობა; 7) კოოპერაციის მოამაგე. (ქრონიკა ნიკა) და სხვ. იყიდება.

**შეცდომის გასწორება.**

13 მარტს, „სამშობლოში" წ. კ. საზოგ. წევრთა სიაში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილია: სიმონ ბესარ. შარაბიძემ, ისიდორე ბედენიძემ, რეალ. სასწავლებლის მოსწავლეებმა ტარასი დავ მამალაძემ;—უნდა იყოს: სიმონ ბესარ. **შარაშენიძემ**, ისიდ. **გედენიძემ**, რეალ. სასწავლ. **მასწავლებელმა** ტარასი დავით. მამალაძემ.

# მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

(გაზეთში მოთავსებულ ცნობის გამო.)

ჩვენში დიდი ხანია ცნობილია **ხრისტოდულიდისის** ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი. ქუთაისის გუბერნიის მთავარ საბრეშუმო რაიონებში (სამტრედია, ხონი, ფარცხანაყანევი, მაღლაკი, ქუთაისი და სხვა) გლეხი მეურნე და მეაბრეშუმე სოფლის ქალი კარგათ იცნობს **ხრისტოდულიდისს.** მეაბრეშუმე მწარმოებელი, როდესაც მოდის ვაჭართან თესლის საყიდლად ეუბნება: მომეცი ის თესლი **კაცის თავი, რომ ახატია ზედ.** (ბევრს კარობკაზე დახატული თავი ნესტორ წერეთლის თავი გონია)—რომელია ეს თესლი, რო შეეკითხება ვაჭარი, შემდეგ მიუგებენ—**ნესტორ წერეთლის თესლი.**—ეს წერეთლის თესლი—იგივე ხრისტოდულიდისის თესლია. რად ეძახიან ხრისტოდულიდისის თესლს ნესტორ წერეთლისას?—აი, რად: —ბევრი სხვადასხვა ჯიშის თესლის ცდის შემდეგ პირველად ჩვენში ამ ოცი წლის წინად ხრისტოდულიდისის თესლი შემოიტანა და გაავრცელა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და პირველმა ქართველმა კოოპერატორმა განსვენებულმა ნესტორ წერეთელმა. თესლმა იხეირა და მას შემდეგ ხრისტოდულიდისის და მის შემოტანას ჩვენში ხალხი პატივისცემით იხსენიებს. ამ ხანგრძლივ დროის მიმდინარეობაში ჩვენში ბევრმა ცადა ხრისტოდულიდისის თესლის „პრესტიჟის" დაცემა და მის ნაცვლად ქუთაისის გუბერნიაში სხვადასხვა ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლისათვის ბაზრის მოპოება, მარა ამაოდ—ყველის ცდა სისტემატიურად უნაყოფოდ ქრებოდა და აი, რისთვის: ამ თესლს, როგორც ზევით ავღნიშნე ხალხი (ხრისტოდულიდსის) დიდი ხანია იცნობს—მიზი,ავი და კარგი საკუთარი გამოცდილებით აქვს შესწავლილი და ათასი, რომ უმტკიცო მას წინააღმდეგი—ის სხვის რჩევაზე მაღლა ყოველთვის თავის გამოცდილებას აყენებს.—ამის მიხედვით უსიამოვნება გამოიწვია **მშრომელ მეაბრეშუმეებში** გაზეთებში მოთავსებულმა ცნობამ, თითქო განზრახვა ქონდეთ ხრისტოდულიდისის თესლის გაყიდვა, როგორც ოსმალეთიდან შემოსული საქონლისა **აკრძალონ**—ამ ცნობით მეაბრეშუმეებმა გული არ გაიტეხონ და იმ პირებმა, რომელიც **ხრისტოდულიდისის** თესლს ნდობენ მეაბრეშუმეობაზე ხელი, რომ არ აიღონ გაცნობებთ:—ხრისტოდულიდისის აბრეშუმის ჭიის თესლის გაყიდვა საქართველოს ყველა კუთხეში ნებადართულია. **მეაბრეშუმე.**

# ლიტერატურული ავათმყოფობა.

მეც ვეჟკაცათ მომაქვს თავი! როცა ჩემს გარშემო მყუდროებაა და კარ ჩაკეტილ ოთახში ვზივარ,—ასე მგონია არაფერს არ შევუშინდები მეთქი,—და მართლაც რის უნდა მეშინოდეს?! არ მეშინია არც ცეცხლისა, არც ადიდებულ მდინარისა, არც ტყვიის, თვით კრუპის ზარბაზანსაც კი წინ დავუდგები ისე, რომ თვალს არ დავახამხამებ! (რა თქმა უნდა, როცა გატენილი არ არის).

ყველაფერს ვიკისრებდი! არ არის ისეთი თანამდებობა, რომელზედაც, როცა გაჭირვებული ვარ, უარი ვსთქვა ლუკმა პურის მოსაპოვებლად... თვით ეშმაკის ცოლის ქმრობასაც-კი გავბედავდი!

დამეთანხმე, მკითხველო,—ეს უკანასკნელი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უბედურებაზე უარესია!

ჰო და მართლაც! ცეცხლი, წყალი, ტყვია, გატენილი ზარბაზანი ერთბაშათ მოგიღებს ბოლოს და ეშმაკის ცოლი კი!! უკაცრავად! არც მოგკლავს, არც დაგწვავს, არც დაგარჩობს! ნელ ცეცხლზე შორიდან შეგტრუსავს!

ჰო და უფრო ამ უკანასკნელსაც კი ვიკისრებდი, ვიდრე...

ქართული გაზეთის რედაქტორობას!

მკითხველო, ალბათ გაგიკვირდება, რომ ამ საპატიო თანამდებობაზე უარს ვაცხადებ!

ოღონდაც და მართალიცა ხარ!

მაგრამ აბა ერთი შემოხედე რედაქციაში, დააკვირდი, რა წამებულია რედაქტორი, ჩვენი სოკოსავით გამრავლებულ პოეტებისაგან და მაშინ მიხვდები მიზეზს.

რომ იცოდე, რა ამბავია! რა ხდება მუდამ დღე!! რამდენი სხვადასხვა მიმართულების, სახის და სტილის პოეტი არ შემოდის, არ მოაქვს თავისი ლექსი და **მოითხოვს**! დიახ! მოითხოვს დაბეჭდვას!

პირველად რომ რედაქციაში შევედი, რედაქტორმა მითხრა:

— ჯერ ხანათ, სანამ საქმეს კარგად გაიცნობდე, ხელთნაწერები გადაათვალიერე!

მე ეს საპატიო თანამდებობა სიამოვნებით ვიკისრე. დამსვეს ერთ მაგიდასთან.

გავღე ერთი უჯრა—სავსეა.

— აქ ლექსებია... მითხრა მან.

გავღე მეორე—აქაც ლექსებია!

მესამე, მეოთხე... მეხუთე!..

სულ ლექსები!..

პირდაღებული, უჯრებს კი აღარ ვუყურებდი, რედაქტორს მივჩერებოდი.

— რა გიკვირს,—გულდაწყვეტილმა მითხრა—ჯერ სადა ხარ! ცოტა მოითმინე და შენის თვალით ნახავ...

დავიწყე კითხვა.

მართლაც არ გასულა ნახევარი საათიც შემოვიდა ერთი. თამამათ ყველას ხელი ჩამოართვა და დაჯდა. რედაქტორმა თურმე ზეპირად იცის მათი სახელები და ჰკითხა.

— ლექსები მოიტანეთ?

— დიახ, ლექსი მოვიტანე! ამაყად უპასუხა მან.—ადრეც გამოვგზავნე ერთი ოციოდე ლექსი, მაგრამ დაბეჭდილი ვერ ვნახე... ეხლა ჩამოვედი ამბის გასაგებათ—რა ბედი ეწია. მე სოხუმში ვმსახურებ. დამეთანხმეთ, თუ ყველა ლექსისათვის ამსიშორე გზა ვიარე, ხარჯი რომ არ იყოს რა, გზაში ათასი დაბრკოლებანი ელოდება წინ მგზავრს.

კიდე რაღაც საყვედურები უნდოდა ეთქვა, მაგრამ რედაქტორმა მოუჭრა.

— აი, ამათ გადაეცით! ჩემზე მიუთითა. მე გამოვართვი კარგა მოზრდილი რვეული, სავსე ძალიან წვრილი ნაწერით.

— პოემაა! სთქვა მან. აწერილია ერთი ქართველი გმირის სიყვარული, უნდა წავიკითხოთ!

— ახლა მაგის დრო არ გვაქვს. მორიდებით უთხრა რედაქტორმა. მერე წავიკითხავთ და კიდეც დავბეჭდავთ.

— ეგრე მპირდებით ერთი თვეა, მაგრამ არც ერთი ლექსი არ დაგიბეჭდავთ. თუ ასე გაგრძელდა, თქვენი გაზეთის კითხვას თავს დავანებებ. ცოტა ნაწყენი ადგა და წავიდა. კარებში მეორე შეხვდა—ისიც ლექსით ხელში. მოვიდა მესამე—ლექსი, მეოთხე—ლექსი!.. სულ ლექსი და ლექსი. მოიტანეს ფოსტიდან კორესპონდენცია—ლექსები.

ღმერთმანი, მკითხველო, არ ვაჭარბებ! ამდენი პოეტი, არა მგონია რომელიმე ერსა ჰყავდეს. მერე რა ხელად იციან ამ დალოცვილებმა ლექსის შეთხზვა! ისე, ხელად, თათარიახნათ! აიღებს კალამს, მონახავს რითმებისათვის უკანასკნელ სიტყვებს და მზაა ლექსი. ქართული წერაც კი არ იციან.

ნიმუშისათვის მოვიყვან ერთ მათგანს:

„ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მიმიღოთ **თქვენ** კორესპონდენტათ, იმედი მაქვს მოგაწოდოთ მრავალი სასარგებლო მასალა... პირველ ნაბიჯს ვსდგამ თქვენის რედაქციის კარებში პირველად ლექსის მოთავსებით მახლობელ ნომერშიდ პატივსაცემი თქვენი გაზეთისა; ამით ვუკარნახებ ბედშავს ხალხს, რომ კუჭის ილბალიც კარის კაცზედ—პრატეკციაზედ არის დამყარებული, რომლის უარსებოდ ვერა რას იშოვი".

მკითხველო, მიშველე! იქნება შენ გაიგო რამე!

შემდეგ ლექსია.

**კუჭი და ფული.**

ჩვენო ბატონო, ობოლთ პატრონო, გასაჭირი
გვაქვს შველა ვერ ვჰპოვე,
ზეცამ უკეთ იცის დანაშაული მისი შექმნილი
კაცის შვილისა:
საით მივიქვც ხაშველებლად, შემომაძახეს
ფული ჩვენ მოგვე.
სცხოვრობენ ტკბილად, სიამოვნობენ, გლეჯავენ ბედით დარაგრულებსა;
აღარ გავიდა იმათან ფიცი, რომ შენ ხარ
ქვეყნად გაჭირვებული,
აღარ ზოგავენ ყოველგვარ ხრიკებს დაგვტოვონ ძვალზედ გატყავებულნი.
შენში ხედავენ ზვერაკის მზგავსა, საკურთხევლისა ისაკის ცხვარსა,
იმათი ხელიდან შვებას ნუ ელი, იქნები მუდამ
დატანჯულია.
რადგან ხედვიან და არა სჯერიან, ფული შენ
მთლად გამოგელია.
იწამე ქრისტე, ცრუ გიყებს შეუსრულე მათი
მადა,
ადსდეგ ფეხზედ ნულარ გმინავს, სამსახური
წინ გიდგია.
უფულოთ იმას ვერ აკეთებ საჭიროა ლივრის
ტყვია.
იქნება ამიხსნათ, რომელი ყალიბისაა ეს „ლივრის ტყვია"!)
„ამასაც თუ ვერ შაიძლებ გიჯობს გამოიჭრა
ყია—
ცოლშვილს მუდმივ აწი უხვდება
სამათხოვრო კარი ღია,
შენის ხელით ეკალსა სწყვეტს,
მოწამეა ნორჩია აა".

„ბებიას ვალერიანი".
ქალი რომ იყოს ალბათ იქნებოდა—
„ბაბუას თეკლე".

როგორია? განა რომ მშვენიერებაა! პოეზია ამაზე მაღლა ვერ აიწევს!

(დასასრული იქნება)

**ც. შალიკაშვილი.**

# ბიბლიოგრაფია.

„დ. ნახუცრიშვილი. ჯიუტები. (მოთხრობათა კრებული) გამოცემა იოსებ იმედაშვილისა. № 54. თბილისი 1914 წ."

ერთს დროს რუსთა შესანიშნავი კრიტიკოსი ბელინსკი ჩივოდა, რომ რუსებს რიგიანი ბიბლიოგრაფია არ მოეპოებაო... მისი აზრით, არც ერთი წიგნი, რომელიც კი დაიბეჭდება ხალხში გასავრცელებლათ, ბიბლიოგრაფოსმა განუხილველი და დაუფასებელი არ უნდა დატოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალი ცუდი შინაარსის და ულამაზო ენით დაწერილი წიგნი გავრცელდება საზოგადოების ფართო მდაბალ მასაში, რომლისთვისაც მსგავსი წიგნები ზნეობრივად გამათახსირებელ მოვლენას წარმოადგენს, და მასთან ბრძოლა პრესის საშუალებით აუცილებლათ საჭიროა. მთელი ჩვენი, აგრე წოდებული, წიგნის ბაზარი სავსეა ათასნაირი ენის გამრყვნელის და ზნეობის გამადუხჭირებელი საეჭვო შინაარსის წიგნებით. ჩვენის აზრით, ეს იმის ბრალია, რომ არ გვაქვს რიგიანად დაყენებული კრიტიკის ის ნაწილი, რომელსაც ბიბლიოგრაფია, ანუ წიგნთა განხილვა ეწოდება. ბიბლიოგრაფია ვერ გასწევს კრიტიკის მაგიერობას, მაგრამ იგი, ასე ვსთქვათ, მცირე კრიტიკაა, მეტად საჭირო და სასარგებლო. სანამ ჩვენში ბილიოგრაფია ფართო არსებობას და მოქალაქობრივს უფლებას არ მოიპოვებს, არ იქნება შესაძლებელი ჯეროვანი ქართული კრიტიკის განვითარებაც. ბიბლიოგრაფია ერთგვარს ნიადაგს უმზადებს კრიტიკას, აწვდის საჭირო მასალასაც და ამასთანავე საზოგადოებას ამზადებს კრიტიკული წერილების შესათვისებლათ, უამისოდ კრიტიკულს წერილს მკითხველთა მცირე რიცხვი ეყოლება. ბიბლიოგრაფია მოკლეთ რომ ვსთქვათ, უღვიძებს საზოგადოებას კრიტიკულს გემოვნებას.

ბ. იოსებ იმედაშვილი უგანგაშოთ, მშვიდათ და წყნარად ეწევა ქართულ წიგნთა გამომცემლობის კეთილშობილურს, შედეგებით მდიდარს, მაგრამ უმადურს საქმეს! ამ სიტყვას: „უმადურს" განზრახ ვხმარობთ იმის გამო, რომ ქართულ წიგნთა გამომცემლობა ნივთიერ სახსარს ძნელად თუ შეძენს გამომცემელს!..

ბოლო დრომდის ეს საქმე ასე იყო იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოცემა შნოიანი, კარგი ელფერიანი იყო, როგორც ბეჭდვის, ისე ქაღალდის მხრით!.. დღეს წინ მდებარე წიგნს აწერია ორმოცდა მეთოთხმეტე ნომერი. ძლიერ სასახელო საქმეა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბატ. იოსებ იმედაშვილი სცემს ისეთს ქართულ ნაწარმოებთ, რომელიც, როგორც შინაარსის, ისე ენის მხრით ყურადღების ღირსი არის. ასეთ ნაწარმოებთა გამოცემა და მათი მკითხველ საზოგადოებაში გავრცელება ძვირფას განძად მიგვაჩნია. იქნებ ამის მეოხებით ბოლო მოეღოს ქუჩურ-ბაზრული, ლაზღანდარული წიგნების გავრცელებას ჩვენს მდაბალს

ექნებოდა ადგილი ისტორიის საშინლებათ!

ძველი რომის დემოკრატია პურს, სეირსა და სისხლის ღვრას თხოულობდა. საშუალო საუკუნეთა დემოკრატია თანა უგრძნობდა ინკვიზიციას, რომელიც თავისუფალ მოაზრეებს წამებით ხოცავდა.

ხალხის თანაგრძნობა რომ არ ჰქონოდათ კი, მაშინდელი ინკვიზიტორები, ცხადია, ვერაფერს გახდებოდნენ.

საფრანგეთის დიდ რევოლიუციას შემდეგ საფრანგეთის გლეხობა, დემოკრატიის ეს უდიდესი ნაწილი, ჯერ ნაპოლეონ პირველს აღმერთებდა, შემდეგ კი მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდამეათე და მესამოცე წლებში ნაპოლეონ მესამეს.

დიახ! ყველა დემოკრატია ერთი და იგივე არ არის!

და ევროპის პროლეტარიატი, რომელიც საერთაშორისო ძმობას აღიარებდა, როგორც ეს დღევანდელმა ომმა დაამტკიცა, ფარულად თურმე ვიწრო ნაციონალისტური ყოფილა!

მაშასადამე, ის აზრი, ვითომ დემოკრატია მარტო სოციალისტურია, კრიტიკის სუბუქ შებერვასაც კი ვერ უძლებს და, როგორც ცრუ რწმენა,—მავნებელია. რატომ? მიტომ, რომ სოციალიზმის ერთადერთ ჭეშმარიტ დემოკრეტიულ პრინციპად აღსარება ნიშნავს—დემოკრატიის დაქსაქსვასა და დანაწილებას. ნამდვილად კი საჭიროა, სხვადასხვა დემოკრატიამ საერთო ნიადაგი მოიპოვოს და შეერთებული ძალით გაიკვლიოს გზა პროგრესისაკენ.

როგორი-ღა დემოკრატია გწამსთ თქვენო? დაგვეკითხებიან. ჩვენ ისეთი დემოკრატია გვწამს, რომელიც ყოვლის უწინარეს ყოველი ცრუ რწმენისა და ფანატიზმისაგან თავისუფალია. ვავიმეორებ: ჩვენ გვწამს მხოლოდ პროგრესიული დემოკრატია, რომელიც აზრის თავისუფლებას აღიარებს და, მაშასადამე, სხვის აზრსა და პიროვნებას პატივსა სცემს. ფანატიზმით დაბრმავებულ დემოკრატიას კი—ისევ თავისუფალი მოაზრე არისტოკრატია გვირჩევნია!

დიაღ! პროგრესს ქმნიდენ თავისუფალი მოაზრეები, სულ ერთია, რომელ წრეს ეკუთნოდენ ისინი, არისტოკრატიას, ბურჟუაზიას თუ დემოკრატიას. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მჭიდრო კავშირი მოწინავე დემოკრატიასა და თავისუფალ მოაზრე ბურჟუაზიას შორის.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიურ პროგრამმას, ის სოციალისტურ ფარგალში არ თავსდება, რადგან სოციალისტური ჩარჩო უცვლელი, გაქვავებული სოციალური უტოპიაა.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ეგრედწოდებული სახელმწიფოებრივი სოციალიზმი (ვფიქრობ, რომ სხვაგვარი არც კია შესაძლებელი). წარმოება იქნება საერთო, განაწილება სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებული. დისციპლინა სასტიკი, მოვალეობის ასრულება ძალდატანებითი! თითოეული მუშა საზოგადოების მონა იქნება და კერძო ინიციატივას გზა შეკრული ექნება.

სადაც, ნამდვილი დემოკრატიზმი კი—საფუძველია თავისუფლებისა. იქ, სადაც თანასწორობა არ არის და ერთი მეორის ბატონია, შეუძლებელია იყოს პიროვნებისა და აზრის თავისუფლება. ამიტომ, არისტოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლება შევიწროებული და შეხუთულია. მაშადამე, ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ არისტოკრატიზმს, თეოკრატიულს, ფეოდალურს და ბურჟუაზიულს.

უმაღლესი უფლება ხალხს უნდა ეკუთნოდეს და სახელმწიფომ მიზნად—ერის უმეტესობის, ხალხის, კეთილდღეობა უნდა დაისახოს. ამიტომ, დემოკრატიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მიმართულებასა და პროგრამას ეს პრინციპი უნდა ედვას საფუძვლად.

მაგალითად, ჩვენი ფიქრით, უდიდესი რეფორმა, რომელსაც განახორციელებს თითოეული დემოკრატიული სახელმწიფო ახლობელ მომავალში, იქნება მიწის განაწილების სამართლიანი მოწესრიგება. არავინ უნდა იყოს ბოგანო, ეული: მიწა ყველას უნდა ჰქონდეს. უნდა დაწესდეს ის მაქსიმუმი, რომლის ზედმეტიც არავის უნდა ეჭიროს ხელში, და მინიმუმი, რომელიც სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს მესაკუთრეთაგან ნებით თუ იძულებით და მიაწოდოს უმამულო მოქალაქეთ.

ამგვარივე დემოკრატიული რეფორმები უნდა განხორციელდეს წარმოების სხვა დარგებშიაც, სწავლა-განათლებაში, საქალაქო და საერობო თვითმართველობაში, საპარლამენტოსა და სიპოლიტიკო ცხოვრებაში, ერთა შორის დამოკიდებულებაში და სხ.

შევეხოთ ამ უკანასკნელ საკითხს. ძველი ინტერნაციონალისტები—კოსმოპოლიტები იყვნენ და, მაშასადამე, ღალატობდენ ინტერნაციონალიზმის, ე. ი. საერთაშორისო ძმობის პრინციპს. მათი აზრით ეროვნული სხვადასხვაობა არ უნდა ყოფილიყო და ყველა ერი ერთმანეთში უნდა არეულიყო, გათქვეფილიყო და ერთ დიდ ერად, კაცობრიობად, უნდა გარდქმნილიყო. და, თუ რომელიმე პატარა ერის წარმომადგენელი თავისი შელახული ეროვნული უფლების შესახებ ხმას ამოიღებდა,—შოვინისტად და ნაციონალისტად იყო მონათლული. თითქო ნაციონალიზმი უარყოფაა ინტერნაციონალიზმის! თითქო ერთი უმეორედ შესაძლებელია!

ბაკუნინი, როგორც პირდაპირი და გამბედავი მოაზრე, ეროვნებას—ზოოლოგიურ მოვლენად აღიარებდა და არა სოციალურად. კაუცკი წინასწარმეტყველებდა, დიდი ერები პატარათ ჩაჰყლაპავენო. მარქსი და ენგელსი ამ საკითხის შესახებ ორჭოფობდენ. სებასტიან ფორი თავის „სილატაკის ფილოსოფიაში" ასურათებს თანამედროვე დაბეჩავებული კაცობრიობის ყოველგვარ ეკონომიურსა და მეტადრე ზნეობრივ ტანჯვა-ვაებასა, ხოლო სრულიად არ ეხება უუფლებო ერის ზნეობრივ წამებასა და გონებრივსა და ქონებრივ დაქვეითებას.

პლეხანოვი და ლენინი წინაღუდგენ, ასე გასინჯეთ, ენათა თანასწორობას და ქართველ სოციალდემოკრატიას მის კანონიერ ეროვნულ უფლებაზე ხელი აალებინეს.

არაოდეს არ დამავიწყდება, კერენსკი რომ ფედერალისტებთან ჩიოდა, ვარლამ გელოვანი სახელმწიფო სათათბიროში ქართველი ერის ეროვნულ უფლებას იცავსო. ეს სოციალისტს არ შეეფერება, სოციალისტმა ყველაფერი სოციალური საზრისით უნდა გააშუქოსო, ბძანებდა. თითქო ეროვნული საკითხი იმავე დროს უდიდესი სოციალური საკითხი არ იყოს!

ნამდვილი დემოკრატია კი უთუოდ ეროვნული უნდა იყოს, ე. ი. კანონიერ ეროვნულ უფლებათ უნდა აღიარებდეს. თვარა იქ, სადაც ეროვნული ჩაგვრაა,—ჩაგვრაა საზოგადოდ და კაცობრიობა ვერაოდეს ვერ დააღწევს თავს მონობას, ვიდრე არ სოისპობა ეროვნული ჩაგვრა და არ დამყარდება ერთაშორის ძმობა და ერთობა

მაშასადამე, ნამდვილი ინტერნაციონალისტი იმავე დროს ნაციონალისტიც არის. და დროა, უკუვაგდოთ ცრუ რწმენა, ვითომ ნაციონალიზმი უთუოდ კაციჭამიაობას ნიშნავს და საძრახისი რამეა! ეს სიტყვის მნიშვნელობის უკუღმა გადატრიალებაა! პირიქით, სწორედ კოსმოპოლიტიზმი შეიცავს კაციჭამიაობის პრინციპს, როგორც უკვე ზევით დავასაბუთეთ.

დასასრულ მოვუყაროთ ერთად თავი ჩვენს აზრებს. დემოკრატიამ ყოვლის უწინარეს უნდა უკუაგდოს ყოველივე ცრუმორწმუნეობა, სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სოციალური, და მეცნიერულ ნიადაგზე უნდა იყოს დაფუძნებული. იგი არ უნდა იყოს არც თეოკრატიული, არც ცეზარისტული და არც ოხლოკრატიულ-სოციალისტური. მისი მიზანი—საერთო კეთილდღეობა და თითოეული მოქალაქის თავისუფლებაა. იგი ისეთ სოციალურ წესწყობილებას უნდა აღიარებდეს, რომელშიაც კერძო ინიციატივას გზა არ ექნება შეკრული. მეორე მხრით სახელმწიფოებრივი უფლება—ხალხს უნდა ეჭიროს ხელში. დემოკრატია უნდა იყოს ერთსა და იმავე დროს ინტერნაციონალისტური და ნაციონალისტური, ე. ი. უნდა აღიარებდეს თითოეული ერის ბუნებრივ უფლებათა.

ამგვარად ჩვენ გვწამს დემოკრატიზმი, თავისუფლება და ეროვნება, ერთად შეზავებული, შეხორცებული

(იხ. 1) „ბატი და მიწა" ელიზე რეკლიუსი"; 2) „რომის ისტორია" მომმსენის; 3) „მსოფლიოს ისტორია" ზოლუგგარტენგის; 4) „საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია" ოლარის; 5) „საუკუნეთა ისტორია ლიტერატურისა" იოანნე შერრის; 6) ძველი და თანამედროვე სოციალისტური და პარტიული ლიტერატურა).

**ვასილ წერეთელი.**

══ სავაჭრო სახლი ══

„ი. გოკიელოვის ძ—ბის“

ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტოდულიდისა

მიიღებულია. ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ყუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუთმობა 2 მ. და 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

წოდებაში, რომელიც მათის მეოხებით ზნეობრივად იშხამება.

დ. ნახუცრიშვილი ჯერ შედარებით ახალგაზდა მწერალია... მას არ აქვს კადნიერება პირველ ხარისხოვანი მწერალი უწოდოს თავისს თავს და მწერლებს უჩვენოს ახალი მიმართულების ახალი ვარსკვლავი... ის წყნარი, მშვიდი და ნიჭიერი მწერალია!.. რეალისტი თავის მიმართულებით... მისი მოთხრობების წაკითხვა მკითხველს დაარწმუნებს, რომ მის ავტორს დაახლოვებით გაცნობილი აქვს გლეხკაცთა ცხოვრება, მათი სულისკვეთება, მათი ჭირ-ვარამი... თუმცა მას არ ძალუძს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმიროთა, მაგრამ ის საშუალო ხარისხის ნიჭი, რომელიც ბუნებას მიუნიჭებია, არ სურს დამარხოს უსარგებლოდ. მისი წყურვილია კალმის საშუალებით გადასცდეს ქაღალდს თვისი გულის ნადები, თვისი ნაგრძნობ-ნაფიქრი, მთელი გროვა თავის შთაბეჭდილებათა, როგორც თვისის დაკვირვების შედეგი. ქართველების ცხრა მეათედისთვის დ. ნახუცრიშვილის მოთხრობების მსგავს ნაწარმოებთა კითხვა სასურველი და სასარგებლოა. ამავე დროს იმავე ცხრა მეათედისთვის პოეტურ ნიჭით უხვად დაჯილდოებულის ი. გრიშაშვილის ლექსების კითხვას სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მართლაც, პროგრესს ერის ცხოვრებაში აწარმოებენ არა ის გვამნი, რომელნიც პირველხარისხოვანი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, არამედ მეორე ხარისხოვანი ნიჭის პატრონნი, ცოდნათა გამამდაბიურებელნი, ხალხის ნამდვილი სიყვარულით გაქდენთილნი. დროა მწერლობაში უარვჰყოთ ერთგვარი ბიუროკრატიზმი, დამკვიდრებული კერპთ-თაყვანისმცემლობა... და მოვძებნოთ ცოცხალი აზრი, გამთბარი გრძნობა და ძალით მოსილი სულისკვეთება ჩვენი სალიტერატურო კერპების გარშემო..

ამ გზისთვის მიუმართავს ბ. იოსებ იმედაშვილს, რომელსაც დ. ნახუცრიშვილის კარგის ენით დაწერილი კარგი შინაარსიანი მოთხრობები ერთს წიგნად გამოუცია. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ პირველი ხუთი მოთხრობა, როგორც მწერლის კალმის პირველი დროის ნაწარმოებნი, სუსტია თვისი შინაარსისა და შემოქმედების მხრით. კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მისი მოთხრობები: „წამალი“, „საფქვავი“, „ჯიუტი ყმა“ და „აღდგომასაც კი“.

უკანასკნელი მოთხრობა ეხება ქალაქის მოხელის ცხოვრებას. ჩამოთვლილი მოთხრობები ამტკიცებს, რომ დ. ნახუცრიშვილის ნიჭი განვითარების გზაზეა დამდგარი.

ვუსურვოთ თანდათანობითი გაფურჩქვნა მის ნიჭს!.. ეტყობა, რომ მას შეუძლია დაგვისურათხატოს არა თუ მხოლოდ გლეხთა, არამედ ინტელიგენტთა და მოხელეთა ცხოვრებაც კი...

რამდენადაც ვიცით, დ. ნახუცრიშვილმა დასწერა „იანიჩარიც“, ისტორიული დრამა. კარგს იზამს, რომ ჩვენს ისტორიულს ცხოვრებასაც არ უკუაგდებდებდეს. მასში მრავალი საკითხია საყურადღებო მწერლისთვის, მრავალი მარგალიტია, რასაც გამომზეურება ეჭირვება...

ბ. იოსებ იმედაშვილის გამოცემა გარეგნობის მხრით მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს. კარგი ქაღალდი, ლამაზი ასოები და საუცხოვო სქელი ქაღალდის ყდა მკითხველს თვისკენ იზიდავს. კეთილსინდისიერად შესრულებული გამოცემა ჩვენში დიახ რომ არც ხშირია. წიგნი შეიცავს 118 გვერდს და შედარებით იაფად ღირს, სულ 3 შაურად.

ილ. ფირაძე.

## ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი.

(იხ. დღევანდელი დამატება).

ი. მ. ჩიქოვანი პირველად არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის თავად 1911 წ. მარტის თვეში, ხოლო მეორეთ 1914 წ. დეკემბერში.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის გათავების შემდეგ ი. მ. შევიდა უნივერსიტეტში, სადაც სწავლა დაამთავრა იურიდიულ ფაკულტეტზე 1892 წელს.

უნივერსიტეტის გათავებისას იგი გაემგზავრა საზღვარგარედ სწავლის დასამთავრებლად. იქიდან დაბრუნებული ნაფიც ვექილთა კორპორაციაში ჩაეწერა ვექილის თანაშემწედ ოდესის სამოსამართლო პალატის ოლქში. შემდეგ საფინანსო უწყებაში გადავიდა სამსახურში და იქ ხარჯისამკრებთა ინსპექტორად დაჰყო, ვიდრე ქალაქის თავად არჩევამდის.

## ვასილ გიორგის ძე წერეთელი.

(იხ. დღევანდელი დამატება).

წელს შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც ვ. წერეთელი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ოცდაათი წლის ერთგული სამსახური ქართული მწერლობისადმი დიდი ღვაწლია სამშობლოს წინაშე და ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ვასილის შესახებ.

ვ. წ. დაიბადა 1862 წ. შორაპნის მაზრაში სოფ. ცხრუკვეთში.

1884 წელს დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია.

გიმნაზიაში გამეფებულმა სქოლასტიკურმა სიტყვებმა შეაძულა ფილოლოგია. სამაგიეროდ შეუყვარდა ბუნებისმეტყველება და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა ადესაში 1884 წ.

წელიწად ნახევარს დიდი სიყვარულით სწავლობდა ბუნებისმეტყველებას. შემდეგ გაიტაცა რუსი სტუდენტების წრემ. გული აიცრუა ბუნებისმეტყველებაზე და შეუდგა იურიდიულ მეცნიერებათა შესწავლას.

1887 წ. გასულს მონაწილეობა მიიღო სტუდენტების არეულობაში და გამორიცხეს „მგლის ბილეთით“. მაშინ იურიდიულ ფაკულტეტზე იყო.

ვ. წ—ს პირველი წერილი დაიბეჭდა „დროებაში“ 1885 წ. აღზრდის სისტემის შესახებ“. იქ იყო გატარებული ის იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს სპენსერის თხზულებას აღზრდის შესახებ.

1888 წ, მცირე ხანს მუშაობდა საკვირაო ჟურნალ „თეატრში“, სადაც მასთან ერთად თანამშრომლობდენ ხომლელი, ურბნელი და ა. ჯაბადარი.

1889 წელს ვ. წ—ი მუშაობდა „ივერიაში“.

1893 წ. კვლავ დაბრუნდა უნივერსიტეტში, კიევში საექიმო ნაწილზე, რომელიც დაასრულა 1899 წ.

ამ ხნის განვლობაში ვასილმა დიდი ტანჯვა გამოიარა.

ადესაში ყოფნის დრო მასზე დიდად იმოქმედა კარლ-მარქსმა და გაიტაცა თავდავიწყებამდი. მთელ ღამეებს ათენებდა მის თხზულებათა შესწავლაზე. სწავლობდა იმავე დროს ადამ სმიტისა, ჯონსტიუარტ მილისა, რიკარდოსა და სხვა ეკონომისტების თხზულებით. გატაცებითვე ადევნებდა თვალყურს ეკონომიურსა და პოლიტიკური პარტიების ლიტერატურასაც.

მიმართულებით ვასილი ერთსა და იმავე დროს იყო დარვინისტი, სპენსერისტი და მარქსისტი და აღიარებდა ეკონომიურ მატერიალიზმს. რუსის „ნაროდნიკობა“-ს იმ თავითვე ზურგი შეაქცია და პლეხანოვის მსოფლმხედველობას დაადგა, თუმცა არა სავსებით. ვინაიდან ყოველთვის ფიქრობდა რომ გაპროლეტარებით სოციალიზმში გადასვლა მხოლოდ ევროპაშია შესაძლებელი, მაგრამ აზიაში და, სხვათა შორის, საქართველოში ეს შეუძლებელია, ამიტომ რუსეთში ყოფნის დროს ვერცერთი პარტიის პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა.

გაჩნდენ თუ არა საქართველოში, (მეოთხმოცდაათე წლებში) „მესამე დასელები“, იმ წამსვე მათ ლიტერატურული ბრძოლა გამოუცხადა მაშინ კიევში იყო საექიმო ფაკულტეტზე. აუარებელ ფელეტონებში ვასილი ამტკიცებდა: ა) საქართველოში პროლეტარიზაციის გზით სოციალიზმში გადასვლა შეუძლებელია, ბ) საქართველოში პროლეტარიატი ყოველთვის პატარა უმცირესობა იქნება და ამიტომ გლეხობას მეტი მნიშვნელობა აქვს და ამ უფრო მნიშვნელოვან ნაწილს ერისას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება. და გ) საქართველოში მარტო მუშა კი არა, ყველა კლასი დაჩაგრულია და კლასთა შორის ბრძოლაზე მეტად ეროვნულს, საერთო საქმეს უნდა ვუგდოთ ყური. მაშასადამე, იმ დროს ვასილი იყო მარქსისტი და არა სოციალ-დემოკრატი, ე. ი. იყო „ქართველი ხალხოსანი“ (ნაროდნიკი).

ლიტერატურული ბრძოლა ქართველ სანდონებთან დღევანდლამდი არ შეუწყვეტია.

ვ. წ—ს სოციალური მსოფლმხედველობის ევოლიუცია ნელნელა ხდებოდა და 1903 წელს უკვე უარჰყო მარქსისტული ეკონომიური მატერიალიზმი. იმ წელს გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა რამდენიმე ფელეტონი: „ცოტა რამე ისტორიის ფილოსოფიისა“. ამ წერილში უარჰყო ეკონომიური მატერიალიზმის ცალმხრივობა და აღიარებდა, რომ ისტორიასა ქმნის, როგორც მატერიალური, აგრეთვე გონებრივი და ზნეობრივი ფაქტორები.

მოძრაობის დროს ვ. წ—ლი მიეკედლა ეროვნულ მებრძოლ პარტიას („სანფარებს“).

ვ. წ—ი სოციალური მსოფლმხედველობის ევოლიუცია გაგრძელდა და ბოლოს სულ უარყო სოციალისტურ-დოგმატიური უტოპია, თუმცა სოციალიზმიდან დაიტოვა და კიდევ უფრო განავითარა ის, რაც შესაძლებელია.

დღეს ვ. წ. აღმსარებელია ეროვნულ უფლებათა საუკეთესო დემოკრატიული პრინციპებისა, უარჰყოფს ყოველგვარ დოგმატს, რომელიც უკრიტიკოდ არის მიღებული. და თანამშრომლობს ჩვენს გაზეთში, სადაც არკვევს სოციალურ საკითხებს.

## პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი.

(ნახე დღესვე სურათებიანი დამატება).

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი პირველათ რუსეთ-იაპონიის ომში იღებდა მონაწილეობას. მუკდენთან გამარჯვებისათვის მას ებოძა ვლადიმერის ჯვარი ლენტით, და ხმალი. დღევანდელ ევროპის ომში იგი იღებდა მონაწილეობას ავსტრიელებთან ბრძოლაში. ლვოვის აღების დროს, განსვენებული მძიმეთ დაიჭრა მარცხენა ფეხში, რომლისთვისაც მიიღო პოლკოვნიკობა და დაჯილდოებულ იქნა მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვრით. ქალაქ თფილისში ერთი თვის აქ-მობის შემდეგ, განსვენებული კვლავ დაუბრუნდა თავის პოლკს, რომელიც ამ დროს გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა. აქ ქალაქ პ—ს აღების დროს, იგი სასიკვდილოთ დაიჭრა, რომლის შემდეგაც მალე გარდაიცვალა. განსვენებულ ანდრონიკაშვილის შესახებ დაწვრილებითი ცნობა უკვე მოთავსებული იყო ჩვენს გაზეთის 28-ე №-ში.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი წერილი.

ბევრნაირ უქმსა და ნივთიერათ მაზარალებელ ხარჯებს ეწევა ჩვენი ხალხი, მაგრამ ამ ხარჯებში თავისი მავნებლობით თვალსაჩინო ადგილი უკავია ტაძრის დღეობებზე ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, კაიდღის. გადახდაზე გაწეულ ხარჯებს. სოფელ დორეშაში 350 მეკომური ირიცხება. როგორც დიდიხნის და კვირვებამ დამარწმუნა, თითოეულ მეკომური საშუალო რიცხვით, საკაიდღისოთ მზადებისათვის, უკანასკნელი ერთი კვირის გაცდენა, რომ არ ვიანგარიშოთ, ფულათ და სანოვაგით 25 მანეთამდი ხარჯავს. ამნაირათ სოფელს ეჯდება წლიწადს „კაიდღის“ გადახდაზე ეხარჯება 8750 მანეთი. წარმოიდგინეთ, რანაირათ დაწინაურებული იქმნება ჩვენი სოფელი ეს ფული რომ ყოველწლიურათ სასარგებლო საქმეებზე ეხარჯა! თუმცა დღეობის გადახდის მოსპობის შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ დღემდის, ზოგიერთების წყალობით, ხალხი ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა ამ დამღუპველი ხარჯისაგან.

ახლანდელმა საზოგადოთ ნივთიერმა დაქვეითებამ კი ბევრს თვალები გამოახელია და მთელმა მრევლმა თანხმობა განაცხადა დღეიდან, კაიდღეზე ხარჯების გაწევის მოსპობის შესახებ. მოკლე დროში გადავწყვიტეთ ამ საგანზე განაჩენის დადგენაც. ამიტომ, თანახმად მრევლის სურვილისა, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ წელს დორეშაში ოცდასამ აპრილს, გიორგობას, ჩვეულებრივი წესით არ ვიხდით და ამ დღეს საწველულოთა და საქმიოთ ნურავინ ინებებს ჩვენ სოფელში მობრძანებას.

მახლობელი მღვდლები ამ საგანზე ჩემგან ოფიციალურ წერილებს მალე მიიღებენ თავის სამრევლოებში გამოსაცხადებლათ.

მღვდელი სიმონ ჭუმბურიძე.

მ. ხ. ბ-ნო რედაკტორო! უმორჩილესათ გთხოვთ დაბეჭდოთ, რომ წერილი დ. ლანჩხუთიდან 34 №-ში მოთავსებული „საკანაროდა“-ს ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის და საზოგადოთ არც მქონდა და არც მაქვს მე რაიმე დამოკიდებულება თქვენს პატივცემულ რედაქციასთან, რომ მით მიხსნათ აქაურ ზოგიერთ „რეპეტილოვებისაგან“, რომელნიც მხოლოთ „Шумят, брят, шумят“.

პატივისცემით ვანიჩქა ასკურავა.

დ. ლანჩხუთი.

P. S. ვამოწმებთ, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ბატონ ვანიჩქა ასკურავს და არც თანამშრომლობს იგი ჩვენ გაზეთში. რედაქცია.

## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ გ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სპეციალური სახელოსნო

პარმენ ამაღლობელის

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

მმ. ყორყოლაძის მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მიიღებულია საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები. და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.